პირველად საქართველოში თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის 2022-2023 წლის საშემოდგომო სემესტრიდან დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის მიერ ხელმისაწვდომია მედიატორთა სასერტიფიკატო პროგრამაში უფასო მონაწილეობის შესაძლებლობა.

მედიაციის სასერტიფიკატო კლინიკის პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კლინიკის სტუდენტს გავლილად ჩაეთვლება სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სასერტიფიკატო დებულებით გათვალისწინებული მედიატორთა საკვალიფიკაციო 60-საათიანი ტრენინგ პროგრამა და 3 წლის განმავლობაში ექნება უფლება პირდაპირ დაშვებულ იქნეს მედიატორთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების ეტაპზე მედიატორთა ერთიან რეესტრში ჩარიცხვისა და მედიატორის სტატუსის მოპოვების მიზნით. კლინიკური პროგრამის გავლა თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უფასოდ და ანაცვლებს მედიატორთა მოსამზადებელ 60-საათიან აკრედიტებულ ფასიან პროგრამას. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის პრო ბონო კლინიკურ პროგრამას გაუძღვება მედიატორთა ასოციაციის ტრენერ-შემფასებელთა ერთიანი რეესტრის მასტერ ტრენერი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - მედიატორი ნათია ჩიტაშვილი.